# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

N965 2026 წლის 13 მაისი ქ. თბილისი

**„დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების, „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების რეგულაციებისა და თანდართული კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე**

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს შეერთებისათვის წარედგინოს „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულება და „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების რეგულაციები.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებასა და რეგულაციებთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს წარედგინოს საქართველოს კანონის პროექტი - „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**